41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო მცხეთელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი მცხეთის მერობის კანდიდატისა და მცხეთის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს მცხეთის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს მცხეთა და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წელს მცხეთის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 16,5 მილიონი ლარი იყო, 2020 წელს 31,4 მლნ ლარს შეადგენს. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა, გადასახადების ნაწილში, შემოსავლების სახით, 9,1 მლნ ლარი მიიღო, 2020 წლის მაჩვენებელი 21,7 მლნ ლარია.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

მცხეთის მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2014-2021 წლებში, განახორციელა **„გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 10 პროექტი“** (ჯამურად 14 830 924 ლარი, თანამონაწილეობა 5 017 857 ლარი. პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 17 პროექტი (ჯამურად 2 306 672 ლარი, თანამონაწილეობა 859 180 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 120 ჰექტარზე განხორციელდა 72 პროექტი (ჯამურად 1 674 306 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით** ჯამურად, დაზღვეულია 172 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 1 193 247 ლარი), რითაც 81-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამებიით, დღეს მოქმედებს 12 კოოპერატივი. **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 337-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჯამურად 57 386 694 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 10 618 898 ლარი). **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** დაფინანსდა 13 პროექტი (ჯამში 2 059 181 ლარი, თანადაფინანსება 816 667 ლარი). 2019 წელს ამოქმედებული **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამით** შესყიდულია 541 350 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა 229 840 ლარი). 2020 წელს **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის** ამოქმედებიდან დღემდე მხარდაჭერილია 19 პროექტი (ჯამში 1 275 177 ლარი, თანადაფინანსება 681 305 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, 13 202 792 ლარი დაიხარჯა. წყალუზრუნველყოფილი ფართობი, 0-დან (2013 წელს) 4 075 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა, დაშრობილი მიწის ფართობი კი 0-დან (2013 წელს) 1 926 ჰექტრამდე (2020 წელს). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **2024 წლისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობების რაოდენობის 7 350 ჰექტრამდე ზრდა.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს და სამომავლოდ გაგრძელდება რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** მცხეთის მუნიციპალიტეტში ხელშეკრულება გაფორმდა 27 საწარმოსთან, 2021 წლის მდგომარეობით, დაფინანსდა – 25 (ჯამურად 83 644 911 ლარი, დასაქმებულია 478 ადამიანი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 2 სასტუმროს მშენებლობას (ინვესტიცია 7 215 795, დასაქმდა 65 ადამიანი, მცხეთას 85 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 546 546 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 709 917 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 59 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 23, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 36 პროექტი).

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2013-2021 წლებში, **მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, აშენდა 7 ჰიდროელექტროსადგური** (არაგვიჰესი, ლარსიჰესი, ყაზბეგიჰესი, დარიალჰესი, საგურამოჰესი, ბოდორნაჰესი, არაგვიჰესი 2), რომელთა დადგმული სიმძლავრე ჯამურად 152 მგვტ-ია, ჯამური საინვესტიციო მოცულობა 172 მილიონი აშშ დოლარი. **მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 6 ჰესი:** ნაროვანჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0.6 მგვტ, 1,127 მლნ აშშ დოლარი; უძილაურთა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 8,48 მგვტ, 11,330 მლნ აშშ დოლარი; როშკაჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1.9 მგვტ, 3,13 მლნ. აშშ დოლარი. როშკა 1 – დადგმ.სიმძლავრე 1.03 მგვტ, 1 მლნ აშშ დოლარი; როშკა 2 – დადგმ.სიმძლავრე 1.99 მგვტ, 1.5 მლნ აშშ დოლარი; როშკა3 – დადგმ.სიმძლავრე 1 მგვტ, 0,9 მლნ აშშ დოლარი; **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა:** ძეგვიჰესი – დადგმ. სიმძლავრე 15,7 მგვტ, 26,7 მლნ აშშ დოლარი; კამარაჰესი – დადგმ. სიმძლავრე 13,2 მგვტ, 37,8 მლნ აშშ დოლარი; მლეთაჰესი – დადგმ. სიმძლავრე 4,88 მგვტ, 4 მლნ აშშ დოლარი; ქვეშეთიჰესი– დადგმ.სიმძლავრე 10,3 მგვტ, 11 მლნ აშშ დოლარი; ბარისახოჰესი – დადგმ. სიმძლავრე 13,5 მგვტ, 12,1 მლნ აშშ დოლარი; მენესოჰესი – დადგმ.სიმძლავრე 8,2 მგვტ, 15,49 მლნ აშშ დოლარი; ხადა1 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 2.6 მგვტ, 5,36 მლნ აშშ დოლარი; ხადა 2 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1.1 მგვტ, 2.84 მლნ აშშ დოლარი; შავი არაგვიჰესი – დადგმ.სიმძლავრე 5,3 მგვტ, 7,968 მლნ აშშ დოლარი; შავი არაგვი1 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 3 მგვტ, 5,2 მლნ აშშ დოლარი.

მცხეთის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამში 4 448 აბონენტი. ხელისუფლება 2022-2023 წლებში, სამი სოფლის (მამკოდა-ნადიკვარის დასახლ. ხოდაბუნება, ჭილაანთკარი) გაზიფიცირებას (დამატებით 232 აბონენტი). 2013-2017 წლებში სამი სოფლის (ბევრეთი, კარსანი და ლელუბანი) 100 აბონენტი **ელექტროენერგიის ქსელში** ჩაერთო. 765 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს ახალი მარშრუტების კვლევა. 2015-2021 წლებში ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებულ ან დასასაქმებელი პირებისთვის. **ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით,** განხორციელდა: ჯვრის მონასტრის ტურისტული ზონის კეთილმოწყობა; სრულდება მცხეთის მუზეუმის რეაბილიტაცია. ოლღას მონასტრის, ქსნის ციხის და არმაზის ციხის საფეხმავლო მარშრუტების მარკირება-მოწყობა. ჰელიოსისტემის განათება გაუ-

კეთდა ბებრის ციხეს, ღვთისშობლის მონასტერს შიო მღვიმის გზაზე, წმ. დემეტრეს მონასტერს შიომღვიმის გზაზე, კალოუბნის მონასტერს, წმ. ნინოს მონასტერს. განხორციელდა ზედაზნის მთაზე ასასვლელი 5 კმ გზის რეაბილიტაცია; მოასფალტდა წმ. გიორგის, ღვთისმშობლის და წმ. დემეტრეს მონასტრებთან მისასვლელი გზები. მცხეთის ძეგლების შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროექტის ფარგლებში, სვეტიცხოველთან, სამთავროს მონასტერთან, ანტიოქიის ტაძართან და შიომღვიმის მონასტერთან მოეწყო პანდუსები ეტლით მოსარგებლეებისათვის. დამზადდა ზემოაღნიშნული ისტორიული ძეგლების მაკეტები უსინათლოთათვის.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

მცხეთის მუნიციპალიტეტში, 2013-2019 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით მოსახლეობაზე გაცემულია 65 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებული დამზადების ფარგლებში, დამზადდა 1904,2 კუბური მეტრი ხე-ტყე. მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2020 წელს, მოეწყო საქმიანი ეზო. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებსა და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ფორსმაჟორულ სიტუაციაში მდგომარეობის ოპერატიული შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით; მიმდინარეობს მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 8 წყალპუნქტზე;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

მცხეთის არაშენდაში სასათბურე მეურნეობა

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, მცხეთაში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 27 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა, აშენდა 1 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 4,4 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 3 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 795 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, მცხეთის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 13 მლნ მეტი დაიხარჯა. 2021-2023 წლებში, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, დამატებით 13 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. **მცხეთაში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება შემდეგი წყალმომარაგების პროექტები:** სოფელ საგურამოს წყალმომარაგება-წყალარინების სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის საპროექტო სამუშაოების შესყიდვა (850 000 ლ); სოფლების ცხვარიჭამია, თეზამი, კევლიანის წყალმომარაგების სისტემის საპროექტო სამშენებლო სამუშაოები (10 992 000 ლ); სოფ. ჩარდახში რეზერვუარის მოწყობა (160 932 ლ).

2021-2022 წლებისთვის, მცხეთის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ. მცხეთაში ტროტუარების, ბორდიურებისა და გამწვანების მოწყობა ფოსტიდან მირიანის ქუჩამდე – 777 780 ლ;
- სოფ. წილკანი-წეროვნის გზის რეაბილიტაცია (დევნილთა ჩასახლებების დამაკავშირებელი გზა) – 1 091 777 ლ;
- ქ. მცხეთაში ტროტუარების, ბორდიურებისა და გამწვანების მოწყობა ფოსტიდან მირიანის ქუჩამდე, (მე-2 ეტაპი) – 220 000 ლ;
- ქ. მცხეთაში გარეგანათების, ტროტუარების, მოაჯირებისა და მოსახლეობის ეზოების შემოღობვის რეაბილიტაცია – 1 323 965 ლ;
- სამთავროს დედათა მონასტერთან ავტოსადგომისა და საფეხმავლო ბილიკების განათების მოწყობა – 198 915 ლ;
- სოფ. წეროვანში შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია – 522 875 ლ;
- სოფ. მუხათგვერდში შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია – 463 748 ლ;
- სოფ. ძეგვში შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია – 599 338 ლ;
- ქ. მცხეთაში შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია – 140 037 ლ;
- სოფ. წილკანში, სელექციის დასახლებაში, შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია – 374 476 ლ;
- სოფ. ქსოვრისში შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია – 323 899 ლ;
- სოფ. ციხისძირში მისასვლელი ცენტრალური გზის რეაბილიტაცია – 507 014 ლ;
- სოფ. მუხრანში შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია – 743 760 ლ;
- სოფ. ბიწმენდში, ახატნის ხევში ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობა – 104 801 ლ;
- სოფ. ახალსოფელში სანიაღვრე არხის მოწყობა – 58 065 ლ;
- სოფ. წინამძღვრიანთკარში იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელ კორპუსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 186 149 ლ;
- სოფ. ნიჩბისში შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია – 621 900 ლ;
- სოფ. ლისში შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია – 330 600 ლ;
- მცხეთა მთიანეთის რეგიონის ტერიტორიაზე, აქტიურ ფაზაშია ქვეშეთი-კობის საერთაშორისო მნიშვნელობის 23 კმ-იანი გზის მშენებლობა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქვეშეთი-კობის ს/გზაზე გვირაბისა და გზის მშენებლობა. პროექტების ჯამური ინვესტიცია 1,3 მილიარდ ლარს აღემატება. სახელმწიფოს გეგმით, 2024 წლამდე, ეტაპობრივად იგეგმება სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება;
- დაიწყება ნატახტარი-ჟინვალის 27-კმ-იანი ჩქაროსნული გზის მშენებლობა.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲔᲠᲗᲝᲑᲐ – ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ!“

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ. ᲡᲙᲝᲚᲐᲪ ᲐᲥ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲪ ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ; ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲝᲡ.

„ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲘᲞᲧᲝᲕᲔᲗ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲮᲓᲔᲑᲘ. ᲐᲛ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ ᲛᲡᲣᲠᲡ, ᲒᲐᲜᲕᲐᲒᲠᲫᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲐᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲔᲑᲐ“, – ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ“ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲐᲥᲕᲡ.

ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲘᲞᲧᲝᲕᲝᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲪᲘᲡ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲐᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ. ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲙᲐᲤᲘᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲔᲪᲔᲛᲐ.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲕᲘᲛᲮᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲔᲢᲐ�პᲔᲑᲡᲐᲪ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲛᲪᲮᲔᲗᲡᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ:

– მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში დავიბადე. მთელი ჩემი ბავშვობა და ახალგაზრდობა მცხეთას უკავშირდება. სწავლა მუხრანის საშუალო სკოლაში დავიწყე, დამამთავრებელ კლასში კი, წეროვნის ნ. ლომოურის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებულ საშუალო სკოლაში გადავედი. ზომიერად ცელქი ბავშვი ვიყავი. ყოველთვის ვცდილობდი, შეთანხმებით მიმეღწია შედეგისთვის და არა – სიჯიუტით. მე და ჩემი ძმა, კახა ზურაბიშვილი ხასიათით განვსხვავდებოდით. მაგალითად, თუკი სადმე წასვლა გვინდოდა და დედა არ გვიშვებდა, ჩემი ძმა გაიპარებოდა, მე კი დედას ბოლომდე ვესაუბრებოდი და ვუხსნიდი, თუ რატომ მინდოდა ასე ძალიან წასვლა და მხოლოდ მისი თანხმობის შემდეგ მივდიოდი. მე და დედას ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. არასოდეს მიმიმართავს მისთვის სახელით, გარდა „დედა“-სი. ჩვენს ოჯახში ურთიერთპატივისცემა მიმართვის ფორმით თუ ქმედებით, დამკვიდრებული ნორმა იყო. დედამ ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემი და ჩემი ძმის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. მით უმეტეს, რომ მან უმამოდ გაგვზარდა – მამა პოლიციის თანამშრომელი იყო. 2 წლის ვიყავი, როცა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, 27 წლის ასაკში დაიღუპა. მას შემდეგ, თითქმის ყოველ დაბადების თუ პოლიციის დღეზე, მამას თანამშრომლები, მეგობრები ფორმებით ამოდიოდნენ საფლავზე და პატივს მიაგებდნენ მის ხსოვნას. ამან ჩემს ცნობიერებაზე და შემდგომ, პროფესიის არჩევანზე დიდი გავლენა იქონია.

– ანუ ადრეული ასაკიდანვე გქონდათ გადაწყვეტილი, რომ მამის პროფესიას აირჩევდით?

– როგორც დედა ამბობს, ადრეულ ბავშვობაში ექიმობა მსურდა, თუმცა მამის ფაქტორმა გადაწყვეტილება შემაცვლევინა და მეც სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენელი გავხდი. პროფესიის არჩევაზე გავლენა წიგნებმაც იქონია – დეტექტიური ჟანრის ლიტერატურა მიყვარდა. მახსოვს, პატარა ვიყავი, როდესაც „მგლის ბილიკი“ და „შავი ვარდი“ ჩუმად წავიკითხე. ეს წიგნები მაშინ აკრძალული იყო. ზოგადად, კითხვა ძალიან მიყვარდა და ყოველთვის ვაფასებდი განათლებულ, წიგნიერ ადამიანს. 1993 წელს საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში ჩავაბარე, მომდევნო წელს კი, ჩავირიცხე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემიაში. როგორც მოგახსენეთ, მამის გარდაცვალების შემდეგ, დედა, ნანა სურგულაძე გვზრდიდა. პროფესიით ბუღალტერი იყო და მცირე შემოსავლები ჰქონდა. ფინანსურად გვიჭირდა. ხშირად იყო შემთხვევა, როცა უნივერსიტეტში მხოლოდ წასასვლელი ფული მქონდა და უკან დასაბრუნებელი – არა. თუმცა ეს ხელს ვერ მიშლიდა სწავლაში. მიზანდასახული ბავშვობიდან ვიყავი და ყოველთვის მჯეროდა, რომ თუ მიზანი გაქვს, აუცილებლად მიაღწევ. მე ჩემით განვვლე კარიერის გზა რიგითი თანამშრომლობიდან მაღალ საფეხურამდე. ვიცი სწავლისა და შრომის ფასი და ყოველთვის მზად ვარ, დავეხმარო ყველა მიზანდასახულ ადამიანს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს.

– აკადემიის დასრულების შემდეგ უშიშროების სამსახურში დაიწყეთ მუშაობა. მოვალეობის შესრულება რა პირობებში გიწევდათ?

– აკადემიის დამთავრების შემდეგ, ჩემი პირველი სამსახურიც მცხეთას უკავშირდება. მცხეთის უშიშროების სამსახურში გავიარე ყველა საფეხური, რიგითი თანამშომლობიდან სამსახურის უფროსობამდე, რაც ნამდვილად არ ყოფილა მარტივი. სამწუხაროდ, ბევრი გამოწვევის წინაშე ვიდექი, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ ბევრი გამოწვევის წინაშე იდგა ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ვემსახურებოდი. უშიშროების სამსახურის შემდეგ კონტრდაზვერვის სამსახურში და შემდეგ სამხარეო პოლიციის უფროსად განვაგრძე მუშაობა. ჩემი სამსახურეობრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, კარგად ვიცი თითოეული ადამიანის უსაფრთხოების და ასევე მათი თავისუფლების ფასი. საქართველოში პოლიციელს აღიქვამენ, როგორც დამსჯელს. ჩემთვის კი პოლიციელი იყო იმ მნიშვნელობის, რაც მას რეალურად აქვს – ხალხის დამცველი, მეგობარი. ჩემი მოღვაწეობით ყოველთვის ვცდილობდი რომ პოლიციელი არ ყოფილიყო მხოლოდ დამსჯელი, ისინი ყოფილიყვნენ ხალხის მეგობრები. მხოლოდ ამით არის შესაძლებელი საზოგადოების ნდობის მოპოვება. მეც შინაგანად ადამიანის დამცველიც ვარ და მეგობარიც. მე იმ პერიოდში ადამიანის უსაფრთხოების დამცველი უფრო ვიყავი, ვიდრე დამსჯელი. ჩემი პროფესიული საქმიანობით, შევეცადე გარკვეული ცვლილებები შემეტანა სისტემაში. ეს შეეხება ურთიერთობებს, როგორც შიდა კომუნიკაციას თანამშრომლებთან, ასევე საზოგადოებასთან. დიდ ყურადღებას ვაქცევდი თანამშრომელთა პირად მოწესრიგებულობას, მათ სიტყვიერ მიმართვებს მოსახლეობასთან. მოსახლეობის ნდობას მოიპოვებ იმ შემთხვევაში, როდესაც მათიანი ხდები. სწორედ ეს იყო ჩემი პრინციპი და იგივე პრინციპებით მსურს განვაგრძო მუშაობა პოლიტიკაში. მთავარი თვისება, რაც პოლიტიკოსს სჭირდება, არის ხალხთან გულწრფელობა და უბრალოება. ასევე, უმნიშვნელოვანესია პროცესების თუ ორგანიზაციის სისტემური მართვა თანამშრომელთა მაქსიმალური ჩართულობით. ჩემი პროფესიული ცხოვრების გზა არ ყოფილა მარტივი. ვფიქრობ, მცხეთის მერად არჩევის შემთხვევაშიც საკმაოდ რთული გზის გავლა მომიწევს, მაგრამ, ძალას მმატებს ის გარემოება, რომ ხალხს უნდა ვემსახურო. ამას უდიდესი პასუხისმგებლობა სჭირდება და სიამოვნებით ავიღებ ამ პასუხისმგებლობას ჩემს გუნდთან ერთად.

– ამბობთ, რომ სისტემაში ცვლილებების გატარებას ცდილობდით. სისტემა ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ თუ შეიცვალა?

– როცა ჩემი პროფესიით სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობა დავიწყე, დღევანდელი გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ ენთუზიაზმზე ვმუშაობდით. არანაირი პირობები არ გვქონდა. ანაზღაურებაც საკმაოდ დაბალი იყო იმ საქმიანობისთვის, რა საქმესაც ვაკეთებდით, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გვიწევდა მუშაობა. რა თქმა უნდა, ყოველწლიურად უმჯობესდებოდა როგორც სამუშაო პირობები, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მიდგომა ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით და აღნიშნული საკითხი სრულიად სამართლიანად ქვეყანაში ერთ-ერთი აქტუალურია. სხვაობა თვალშისაცემია, რაც თუნდაც პატიმართა საჩივრებში, მათთვის პრიორიტეტულ პრობლემებში იკითხება და ასევე, აღსანიშნავია პოლიციის როლიც ამ კუთხით, რომლის საქმიანობა მტკიცებულების მოპოვების და დამუშავების მაღალ სტანდარტებს ეყრდნობა. ჩემს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდე-

41 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ – ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

დიმიტრი ზურაბიშვილისა და სოფო რეხვიაშვილის სიყვარულის ისტორია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში იწყება. ერთმანეთი სწორედ აქ გაიცნეს, მეგობრის ბავშვის ნათლობაში. მოვლენები ძალიან სწრაფად და ლამაზად განვითარდა. გაცნობიდან დაახლოებით 2 წელიწადში ოჯახი შექმნეს. შეიძლება ითქვას, ბავშვობაში ექიმობაზე აუხდენელი ოცნება, მეუღლემ „აუსრულა“ – ქალბატონი სოფო ექიმია და მცხეთის კლინიკაში ლაბორატორიის მენეჯერად მუშაობს. კანდიდატი ამაყობს, რომ ქალბატონი სოფო უხილავ მტერთან, კოვიდ 19-თან ბრძოლაში ფრონტის წინა ხაზზე დგას.

წყვილს ორი შვილი ჰყავს. კანდიდატის შეფასებით ნიკოლოზი და ნანო არაჩვეულებრივი ბავშვები არიან. მიუხედავად იმისა, რომ მშობლებს გადატვირთული გრაფიკი აქვთ, მაინც ხშირად ახერხებენ ბავშვებთან ერთად განტვირთვას. უმეტესად, მცხეთაში გაისეირნებენ და სატახტო ქალაქის ღირსშესანიშნაობებით ტკბებიან. შემდეგ კი, თავს ისევ აფარებენ ბედნიერ ნავსაყუდელს – სახლს, სადაც სიყვარული და გულწრფელი ურთიერთობებია. სახლს, სადაც კანდიდატის მთავარი ღირებულებაა. დიახ, ოჯახის ზურაბიშვილისეული განმარტება სწორედ ასეთია: „ოჯახი ჩემთვის მთავარი ღირებულებაა. ოჯახიდან იწყება ყველაფერი, მოქალაქეობრივი თვითშეგნება და სახელმწიფოებრივი აზროვნება. ოჯახი ჩემში სამშობლოსა და უფლის სიყვარულს აერთიანებს. როცა შენს შვილებზე ზრუნავ, სხვის შვილებსაც უფრთხილდები. როცა საკუთარ დედას პატივისცემით ეპყრობი, სხვისი დედის დაფასებაც იცი. თუ მეუღლე არ გიყვარს და ურთიერთობები ყალბია, ასეთ ოჯახს ფასი არა აქვს. ჩემთვის ყველა ღირებულება, პრინციპი და სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულება ოჯახიდან იწყება და სახელმწიფოთი მთავრდება“.

საც კონკრეტულ პირთა დანაშაულებრივ ქმედებებში დარწმუნებულები, ვერ ვაძლევდით მათ პასუხისგებაში შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის გამო. შესაძლოა დამნაშავე ასეთ შემთხვევაში დაუსჯელი დარჩეს, მაგრამ ეს ბევრად უმნიშვნელოა იმ მონაპოვართან, რაც სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით განხორციელდა.

დღეს ქვეყანაში წინა პლანზეა წამოწეული ადამიანის უფლებები. ამ მხრივ განსხვავება დიდია. ეს ყველაზე მეტად პატიმრების საჩივრებში ჩანს. მაგალითად, დღეისთვის პატიმრების საჩივრები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა კვების პროდუქტების გამოწერა – „შევუკვეთე სხვა დასახელების წიწაკა და მომიტანეს სხვა“ და ა.შ. დღეს, მთელს პენიტენციურ სისტემაში დაახლოებით 7000 მსჯავრდებულია. მაშინ კი, მხოლოდ ქსნის ციხეში 3400 პატიმარი იყო.

– აგვისტოს ომის მონაწილე ბრძანდებით. ხელისუფლება დეოკუპაციისკენ სწორ ნაბიჯებს დგამს?

– დიახ, ომის მონაწილე ვარ. 2008 წლის აგვისტოს ომი ყველაზე ტკივილიანი მოგონებაა ჩემს ცხოვრებაში. წინაგარი, ორჭოსანი და შემდეგ ახალგორი... არ მინდა დეტალებზე საუბარი, უბრალოდ ვიტყვი, რომ ეს არ უნდა მომხდარიყო და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ერთმანეთის დასაბრუნებლად. აგვისტოს ომის პერიოდში, როდესაც ბრძოლის ხაზზე ვიყავი, ჩემი მეუღლე მცირეწლოვანი შვილებით მუხრანში, ჩემს სახლში მყავდა დაბინავებული. თურმე მეზობლები მიდიოდნენ და ნახულობდნენ, რომ დარწმუნებულიყვნენ, ხომ არსად წამიყვანია ან ქვეყანა ხომ არ დამიტოვებია. ჩემი ოჯახის იქ ყოფნა მათ აიმედებდა. ახალგორი მცხეთის ე.წ. საზღვარია. იქ ვითარება 2008 წლის შემდეგ დღითიდღე უარესდებოდა. იქ მაცხოვრებლებს რთულ პირობებში უწევთ ცხოვრება – არ აქვთ საკვები, საყოფაცხოვრებო ნივთები, ნორმალური ცხოვრების საშუალება. ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლამ ინტერესი დაბადა მათში. რუსული პასპორტებით ისინი ვერ შეძლებენ ევროკავშირში შესვლას, იქ მუშაობას და სწავლას. ამიტომ უკვე ბევრი დაფიქრდა. **დროებით ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების ერთ-ერთი გზა ევროკავშირში გაწევრიანებაზე გადის. როდესაც საქართველო ვითარდება და ინტეგრაციას ახდენს საერთაშორისო დონეზე, უკვე მომხიბვლელი და დასაფიქრებელი ხდება ჩვენი დროებით დაკარგული ძმებისთვის. მჯერა, ასეთი სწორი პოლიტიკით ჩვენ ერთმანეთს აუცილებლად დავიბრუნებთ.** ზოგადად, ნებისმიერი პრობლემა იწყება კომუნიკაციის ნაკლებობით, ერთმანეთის არმოსმენით. ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია დასაწყისშივე, სანამ კონფლიქტი გაღრმავდება და მასში ჩაერთვება მესამე ან სხვა პირები. **შეთანხმებას და მოლაპარაკების ხელოვნებას თანამშრომლობაში ალტერნატივა არა აქვს. ჩემთვის ყველაზე მთავარია მოსმენის კულტურა, გადაწყვეტილებებში სხვისი აზრის გაზიარება. ყველა სფეროში პროფესიონალი ვერ იქნები. უმჯობესია ჰკითხო დარგის სპეციალისტებს და გადაწყვეტილება ისე მიიღო. ჩართულობა არა მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულებაში, არამედ, გადაწყვეტილების მიღებისას – ეს არის ლიდერის დემოკრატიული მმართველობის საზომი. მე ამ მეთოდს ვიყენებდი ყოველთვის და ამ მეთოდით ვიმუშავებ პოლიტიკაშიც.** ოჯახშიც, სამეგობროშიც და განსაკუთრებით, სამსახურში ჩემი პრინციპები მაქვს. არ მომწონს ხალხის რაღაც კასტებად დაყოფა. კანონი ამას არ ითვალისწინებს. მსურს ეს პრინციპი პოლიტიკაშიც გადმოვიტანო. ვფიქრობ, ამას შევძლებ ისევ გუნდსა და საზოგადოებასთან შეთანხმებით. პოლიტიკაში, სადაც გუნდური პასუხისმგებლობა გაქვს, ამის გაკეთება რთულია, მაგრამ შესაძლებელი. ეს სჭირდება საქმეს, სჭირდება ქალაქისა და რაიონის განვითარებას, სჭირდება სახელმწიფოს. „ქართულ ოცნების“ გაკეთებული, უკვე დაწყებული და სამომავლოდ დაგეგმილი საქმეების ალტერნატივის შემოთავაზების შესაძლებლობა არც ერთ სხვა ძალას არ გააჩნია. ბედნიერი ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა ახალ ამპლუაში მოვახმარო დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ჩემს ქვეყანასა და მშობლიურ მხარეს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ უფრო დიდი ნდობა მხოლოდ საქმეზე საუბრით, კონკრეტული ხედვებისა და ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარების მკაფიო გეგმის შეთავაზებით მოვიპოვოთ.

– და როგორია მუნიციპალიტეტის განვითარების თქვენეული მკაფიო გეგმა?

– ძალიან მარტივად მოგახსენებთ, გეგმის მცირე ნაწილს. ესაა: ქალაქ მცხეთის განვითარების გეგმის შემუშავება, რომელიც ორ მთავარ მიზანს მოემსახურება: დავიცვათ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა და მოსახლეობას მიეცეს რეალური განვითარების საშუალება; ქალაქის დარჩენილი ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია; ფარნავაზის მოედანზე და თეატრონის მიმდებარე ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, როგორც უძველესი კულტურისა და თანამედროვეობის სინთეზი; ქალაქის ქუჩების რეაბილიტაცია; საკოლმეურნეო ბაზრის მოწყობა; სკოლების რეაბილიტაცია; დასავლეთიდან მცხეთის შემოსასვლელში (ახალ მცხეთაში, აგურქარხნის დასახლებაში) ველობილიკის, ქუჩების განათებისა და მწვანე ზოლის მოწყობა; შიდასაუბნო სკვერების მოწყობა;

მცხეთის მუნიციპალიტეტში კი გაგრძელდება სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ამბულატორიების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები; გაგრძელდება შიდასაუბნო გზების ეტაპობრივად მოასფალტება; გაკეთდება გარეგანათებები, სანიაღვრე არხები, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა; სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გაგრძელდება სოფლების კეთილმოწყობა, სკვერებისა და რეკრეაციული ზოლების მოწყობა.

– ფიქრობთ, კონკურენტებს კი არა, მცხეთელები მხარს თქვენ დაგიჭერენ და ამ გეგმის განხორციელების საშუალება მოგეცემათ?

– მე არავის ვერბრძვი თუნდაც იმიტომ, რომ ამ საარჩევნოდ ძალთა უთანასწორობაა. სუსტთან ბრძოლა უღირსი საქციელია. მე ჩვენს გუნდთან ერთად ვიბრძვი ქალაქ მცხეთისა და მუნიციპალიტეტის მეტი განვითარებისთვის. ამისთვის მჭირდება ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა. მჯერა, რომ ეს მხარდაჭერა აუცილებლად მექნება მეც, პარტიასაც და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებსაც. ხალხი ბრძენია და განაწყენებულიც რომ იყოს, ბოლოს გადაწყვეტილებას მაინც გონებით იღებს. მიუხედავად პრობლემებისა, მცხეთაში როგორც ქალაქში, ისე მუნიციპალიტეტში, იმდენი მნიშვნელოვანი პროექტია განხორციელებული, რომ შეუძლებელია ხალხმა ეს არ დააფასოს. თუმცა მესმის მათიც, სურთ მეტი განვითარება, მეტი კეთილდღეობა და წინსვლა. ჩემი არჩევის შემთხვევაში, მთავარი საზრუნავი სწორედ ეს იქნება. **ყველა პრობლემა მოგვარებადია, თუკი ვიქნებით ერთად ერთი მიზნისთვის! ერთობა – ეს არის ჩემი მთავარი გზავნილი ამომრჩევლისადმი!**

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **მცხეთის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 59 207 754 ლარი, დაფინანსდა 83 154 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (3 045 779,7 ლარით 235 056 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (2 843 581 ლარით 41 220 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (42 169 430 ლარით 24 647 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (7 902 834 ლარით 8 153 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (2 188 915 ლარით 3697 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 806 769 ლარით 4 116 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, **მცხეთის მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 5 437 ბენეფიციარი (394 465 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. მცხეთის მუნიციპალიტეტში 97%-დან 100%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **მცხეთაში,** სტაციონარული მკურნალობით 182-მა (775 623 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1 557-მა პაციენტმა (208 710 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისი მიიღო 5512-მა ორსულმა (294 963 ლ), მედიკამენტები 1165-მა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **მცხეთის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 779 პირი (150 734 ლარი).**

2012 წლის შემდეგ, **მცხეთის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. მცხეთაში, 2013-2021 წლებში სულ 1469 შემთხვევა 1 849 296 ლარით დაფინანსდა.

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **მცხეთის მუნიციპალიტეტს 69 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ინფრასტრუქტურული პროექტები

2014-2020 წლებში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში **–** წილკანი (75 974 ლ), ნიჩბისი (54 554 ლ), ქსოვრისი (140 005 ლ), საგურამო (99499,6 ლ), წეროვანი (120 000 ლ), ძველ ქანდა (94 100 ლ); ახალი ამბულატორიის მშენებლობა სოფელ გალავანში (95 773 ლ); **დევნილები –** ქ. მცხეთაში, წერეთლის ქუჩის მიმდებარედ, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, ორი 8-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის (120 ბინა) სამშენებლო სამუშაოები – 5 295 324 ლარი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, მათ შორის თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის აღსრულების გაძლიერების სახელმწიფო პროგრამა, ინტეგრირებული სკრინინგი (C ჰეპატიტი, შიდსი, ტუბერკულოზი) ეპიდზედამხედველობის პროგრამა (პირველადი ეპიდზედამხედველობა, იმუნიზაცია, მალარიის, ტუბერკულოზის, დედათა და ბავშვთა დაცვის სახელმწიფო პროგრამა და სხვ.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

სოციალური დაცვა

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **მცხეთის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 8 129 პირი. 2012 წლის შემდეგ 2,4-ჯერ – 9 051 861-დან 21 829 240 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2020 წ.წ. სულ 134 446 003 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **მცხეთაში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 334 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,3-ჯერ – 349 192-დან 1 492 065 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 9 804 242 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. მუნიციპალიტეტში, სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1 616 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.) 2012 წლის შემდეგ, 2,6-ჯერ – 1 497 ათასიდან 4 175 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 31 880 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 8 751 ათასი, შშმ პირებზე – 3175 ათასი, ბავშვებზე – 11 449 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – მცხეთაში, სოციალური პაკეტით სარგებლობს 2009 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6,2-ჯერ – 516 957-დან 3 200 674 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 20 465 111 ლარი.

საქართველოში აშშ-ს საელჩომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონს სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის აუცილებელი ინვენტარი გადასცა

მცხეთის მუნიციპალიტეტში 8 892 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 882 256-დან 4 906 980 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 37 332 247 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **მცხეთის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 2 500 ოჯახი, მათ შორის: 120 დევნილ ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 70 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 2 445 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) მცხეთაში, დაფინანსებულია 384 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 3 462 970 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 650 550 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან მცხეთის მუნიციპალიტეტზე – 2 484 925 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს მცხეთაში ჩართული იყო 1 118, 2021 წელს – 1 216 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, მუნიციპალიტეტში 2020 წელს ისარგებლა 337-მა ოჯახმა, 2021 წ. – 428-მა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), მცხეთაში, 2020 წ. ჩაერთო 447 პირი, 2021 წ. (ივლისის მდგომარეობით) – 450.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო საგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867 ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება, ერთჯერადი სოციალური დახმარება, მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. მცხეთაში ფუნქციონირებს 25 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (6 – ქ. მცხეთში, 19 – სოფლად). მიმდინარეობს და სრულდება 4 საბავშვო ბაღის მშენებლობა.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა მცხეთაში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 5 მლნ ლარი შეადგინა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 1 მლნ 40 ათასი ლარი იყო.

2013-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, 2013 წელს – სოფელ ქსოვრისში ბაგა-ბაღის შენობის რემონტი და ეზოს კეთილმოწყობა (164,1 ათასი ლარი); **2014 წელი** – წილკნის საბავშვო ბაღის მშენებლობა (251 ათასი ლარი); მცხეთის №3 ბაგა ბაღის რემონტი და ეზოს კეთილმოწყობა (120 635 ლარი). **2015 წელი** – ჩარდახში, გალავანში, მისაქციელსა და ქსანში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოები (სულ 96,9 ათასი ლარი); მუხრანსა და ერედაში საბავშვო ბაღის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (90,2 ათასი ლარი); ციხისძირის საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია – 543 364 ლარი. მცხეთის №2 (ნარეკვავის დასახლება) საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა – 617 ათასი ლარი; წილკანში (დევნილთა დასახლებაში) საბავშვო ბაღის მშენებლობა, მეორე ეტაპი – 228,4 ათასი ლარი; ციხისძირის საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია (543, 3 ათასი ლარი); **2016 წელი** – მუხრანში №2 საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია (233,2 ათასი ლარი); ქსნის საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია (277 ათასი ლარი); ერედის საბავშვო ბაღის რემონტი (103,5 ათასი ლარი); **2017-2018 წლებში:** აშენდა ახალი საბავშვო ბაღი ნატახტარში (744,439 ლარი); მიშენება გაუკეთდა სოფელ ლისში მდებარე საბავშვო ბაღს (84 210 ლარი); მიშენება გაუკეთდა და გაფართოვდა საგურამოს საბავშვო ბაღი (184 776 ლარი); მუხრანში, წმინდა გიორგის უბანში, აშენდა ახალი საბავშვო ბაღი (1 მლნ 674,121 ათასი ლარი). 2019 წელს დასრულდა სოფელ ფრეზეთში (დევნილთა დასახლებაში) საბავშვო ბაღის მშენებლობა (426,7 ათასი ლარი); **2018 წლის** რეგიონული ფონდიდან დაფინანსდა 141 000 ლარის პროექტები. დასრულდა ძველ ქანდაში, ბიწმინდაში, აღდგომიანთკარსა და ვაზიანში, 50 ბავშვზე გათვლილი, საბავშვო ბაღების პროექტირება-მშენებლობა (2,8 მლნ ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდი); წეროვანში აშენდა, 4 ჯგუფზე გათვლილი, საბავშვო ბაგა-ბაღი (575 ათასი ლარი); **2020 წელს** დასრულდა ქ. მცხეთაში არმაზის დასახლებაში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (218,6 ათასი ლარი); ქ. მცხეთის №4 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (59,5 ათასი ლარი); ქ. მცხეთის №6 საბავშო ბაგა-ბაღის შენობის რეაბილიტაცია (65,3 ათასი ლარი).

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 1 510-დან 2 092-მდე გაიზარდა. 1,6-დან 3.50 ლარამდე გაიზარდა **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე. **სასკოლო მზაობის პროგრამა** სკოლამდელი დაწესებულებების 14 სააღმზრდელო ჯგუფშია დანერგილი, სადაც 565 ბავშვია. საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 164 აღმზრდელი, აქედან სასკოლო მზაობის ჯგუფებში – 52. საბავშვო ბაღები უზრუნველყოფილია მედდისა და ფსიქოლოგის მომსახურებით.

ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 28 საჯარო სკოლა და ერთი ა(ა)იპ მცხეთის ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლა. 2 წელია, რაც სოფელ საგურამოში გაიხსნა საბუნებისმეტყველო სკოლა „ცისარტყელა“ (I-II-III კლასი), ქალაქში ფუნქციონირებს 3 საჯარო სკოლა, სოფლად – 24, მთის სტატუსის მქონე დასახლებაში – 2, საჯარო სკოლებში 7 921 მოსწავლე და 1044 მასწავლებელია, მათგან 35 სპეცმასწავლებელი; მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2021 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 201 სსსმ მოსწავლე; საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 13 საჯარო სკოლაში 30 **მანდატური** იცავს.

ზოგადი განათლების სფეროში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამებით მცხეთის მუნიციპალიტეტში: 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტიდან გამოვლინდა 36 ოქროსა და 11 ვერცხლის მედალოსანი; **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით** 19 საჯარო სკოლის (40 მიმართულება) 1 423 მოსწავლე სარგებლობს; **ექიმის კაბინეტი** ფუნქციონირებს 14 საჯარო სკოლაში. 7 სკოლა სარგებლობს **ფსიქოლოგის** მომსახურებით. 2017-2019 წლებში, **სასკოლო აქტივობების** ხელშესაწყობად დაფინანსდა 145 პროექტი; 2019 წელს, **ახალი სკოლის მოდელის** ფარგლებში, 5 საჯარო სკოლას გადაეცა 157 ლეპტოპი; 2017-2019 წლებში, საჯარო სკოლებში უსასყიდლოდ დარიგდა 154 909 **სახელმძღვანელო და რვეული**; პორტაბელური კომპიუტერი გადაეცა 2 155 პირველკლასელს, 98 **დამრიგებელსა** და 50 **წარჩინებულ მოსწავლეს;** 2018-2019 წლებში **ოპტიკური კავშირით და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა 33 პროექტი; **ლოკალური უსადენო ქსელით** უზრუნველყოფის მიზნით – 22.

სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2020 წლებში, სულ განხორციელდა საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 44 პროექტი. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 საჯარო სკოლას. მათ შორის, 2013 წელს განხორციელდა 15 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და 11 საჯარო სკოლის გაზიფიცირება, რაზეც სულ 727,5 ათასი ლარი დაიხარჯა; **2013 წელს** დაიწყო 2 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა (მუხრანის საჯარო სკოლა– 1,8 მლნ ლარი; წილკნის საჯარო სკოლა – 2 მლნ 986,8 ათასი ლარი); **2014 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 საჯარო სკოლას, დაიხარჯა – 30,7 ათასი ლარი; წილკნის მშენებარე სკოლისთვის მოეწყო ჭაბურღილი (51,5 ათასი ლარი); განხორციელდა სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი პროფესიული კოლეჯის რეაბილიტაცია (2 მლნ 163,6 ათასი ლარი); **2015 წელს** განხორციელდა 3 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და 3 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა, რაც სულ 254,9 ათასი ლარით დაფინანსდაა; მცხეთის საგანამანათლებლო რესურსცენტრში გათბობის სისტემის რაბილიტაციაზე 3,8 ათასი ლარი, ხოლო „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის" რეაბილიტაციაზე 606,9 ათასი ლარი დაიხარჯა; **2016 წელს** განხორციელდა 7 საჯარო სკოლის სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები (298,9 ათასი ლარი); MCC-ამერიკული პროექტის ფარგლებში, სააგენტოს თანამონაწილეობით, ძეგვის საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა/ტექნიკური პირობების უზრუნველყოფა (114,3 ათასი ლარი);

სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 2019 წელს განხორციელდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სველი წერტილები მოეწყო: მცხეთის №1 (108 933 ლარი), ლისის (73 488 ლარი), ნავაზის (75 454 ლარი) ვაზიანის (104,7 ათასი ლარი), ახალდაბის (69 ათასი ლარი), გალავანის (113,5 ათასი ლარი), ჩარდახის (611,7 ათასი ლარი), ძველი ქანდის (104 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში. სოფელ პატარა ქანდაში არსებულ 8-წლიან სკოლას ემატება კლასები, 10-წლიან საჯარო სკოლად გადასაკეთებლად (პროექტი ხორციელდება ადგილობრივი ბიზნესმენის ხელშეწყობით). **2020 წელს –** სან.კვანძები მოეწყო ქსნის, ერედის, მისაქციელის, ნავაზის, ძალისის, ქსოვრისის, მსხალდიდის საჯარო სკოლებში (329 593 ლარი); ქ. მცხეთის №1 საჯარო სკოლის ეზოში გამაგრდა საყრდენი კედელი (10 ათასი ლარი); სოფელ საგურამოს საჯარო სკოლაში მოეწყო სველი წერტილები (158 989 ლარი); **2019-2020 წლებში** სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ძეგვისა და წეროვნის №2 საჯარო სკოლებს. **2021 წელს დაფინანსდა** – ძალისისა და ნიჩბისის სკოლებში იატაკის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ჯანურად 213,3 ათასი ლარი); სოფელ ლისის საჯარო სკოლაში სახურავის რეაბილიტაცია (70 ათასი ლარი); **მუნიციპალიტეტში ადაპტირებულია 19 საჯარო სკოლა, ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილია 27 საჯარო სკოლა. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა დანერგილია 1 სკოლაში;**

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დასრულდა სოფელ ბიწმენდის, 90 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის მშენებლობა, დაიხარჯა 1,7 მლნ ლარი. მოსწავლეები 2021-2022 სასწავლო წელს ახალ სკოლაში დაიწყებენ.

2020 წელს, **სოციალური პროგრამის ფარგლებში,** დაფინანსდა მაღალი აკადემიური მოსწრების 48 მოსწავლე (12000 ლარი); 2021 წელს დამტკიცდა განათლების მხარდაჭერის პროგრამა, რომლითაც ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადაეცა – 2020-2021 ს/წ პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ, 72 XI-XII-კლასელ მოსწავლეს, მეორე სემესტრის ბოლოს 66-ს. სულ 2021 წელს დაიხარჯა 34500 ლარი.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მცხეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს სსიპ **„ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი", რომელიც ახორციელებს 29 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას,** მათ შორის, **8 დუალურს.** ავტორიზაციის ფარგლებში კოლეჯს 659 სტუდენტის მიღება შეუძლია. 2020 წლიდან კოლეჯმა მოიპოვა ისეთი ტიპის პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება, რომლის დასრულების შემდეგაც **გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.** 2020 წლის მიღების ფარგლებში, აღნიშნული ტიპის პროგრამებზე, კოლეჯში ჩაირიცხა 16 პირი (11 მცხეთაში, 5 თიანეთში).

გაეროს განვითარების პროექტის მხარდაჭერით, 2016 წელს კოლეჯში დაიწყო სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირება, დაინერგა მეხილეობის „დუალური" პროგრამა, ჩაირიცხა 6 სტუდენტი.

2019 წელს, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი, **პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით, სახელმწიფოსგან დაფინანსდა 1 მილიონი ლარით; ხოლო 2020 წელს – 1,6 მილიონი ლარით;**

2017-2020 წლებში პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, კოლეჯში პროფესიულ **მომზადების/გადამზადების კურსი გაიარა 350-მდე მსჯავრდადებულმა და ყოფილმა პატიმარმა.**

ინფრასტრუქტურული პროექტებით, 2016 წელს დასრულდა კოლეჯის ძირითადი სასწავლო კორპუსის რეაბილიტაცია სოფელ წინამძღვრიანთკარში, სრულად რეაბილიტირდა ფილიალები თიანეთსა და სტეფანწმინდაში. **მიმდინარეობს** სოფელ წინამძღვრიანთკარში, 137 წლის წინ, ცნობილი პედაგოგისა და პუბლიცისტის ილია წინამძღვრიშვილის მიერ სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაარსებული პირველი პროფესიული სასწავლებლის რესტავრაცია. მოეწყობა სამუზეუმო, სასწავლო, საკონფერენციო სივრცეები, რათა აღდგეს ის ტრადიციული პირვანდელი მიმართულებები, რომლებიც ილია წინამძღვრიშვილისა და ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაინერგა და მოხდეს მათი განვითარება თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამით დაფინანსება მოიცავს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის** (დუშეთი, თიანეთი, მცხეთა და ყაზბეგი) მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 ს/წელს მცხეთა მთიანეთის რეგიონიდან დაფინანსდა 14 სტუდენტი. 2019-2020 ს/წელს – 14, 2020-2021 ს/წელს – 14.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ – ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომის სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება.
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დაგეგმილია სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის პროექტირება – MCC მოვლა პატრონობა;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, განხორციელდება მცხეთაში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: განხორციელდება 8 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (წეროვნის №2, ლისის, ვაზიანის, მისაქციელის, პატარა ქანდის, საგურამოს, მუხრანის №1 და ახალდაბის საჯარო სკოლები), 4 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა (საგურამოს, ქსოვრისის, ნიჩბისისა და ქსნის საჯარო სკოლები), ძეგვის საჯარო სკოლის (დაწყებული 2016 წლიდან) MCC-ამერიკული პროექტის ფარგლებში, სააგენტოს თანამონაწილეობით, ეზოს კეთილმოწყობა/ტექნიკური პირობების უზრუნველყოფა, 2 საჯარო სკოლის პროექტირება (ბიწმენდისა და ციხისძირი, ფართის დამატება), ჯამში, დაგეგმილია ქ. მცხეთისა და მუნიციპალიტეტის სოფლების 24 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (9,8 მლნ ლარი);
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- დასრულდება მცხეთის რაიონის სოფელ წინამძღვრიანთკარში, 137 წლის წინ, ცნობილი პედაგოგისა და პუბლიცისტის ილია წინამძღვრიშვილის მიერ, სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაარსებული პირველი პროფესიული სასწავლებლის რესტავრაცია, რომელიც კოლეჯის ძირითად შენობასთან მდებარეობს. მოეწყობა სამუზეუმო, სასწავლო, საკონფერენციო სივრცეები;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-�პᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

მცხეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი – რომლის დაქვემდებარებაშია: კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის მცხეთის კულტურის ცენტრი და 4 კულტურის სახლი (მუხრანის, ნატახტრის, ერედის, ქსნის კულტურის სახლები); მცხეთის დავით გამრეკელის სახელობის სახელოვნებო სკოლა და სამუსიკო 2 სკოლა (საგურამოს დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა და ქსნის სამუსიკო სკოლა); 13 ბიბლიოთეკა (ქ. მცხეთის შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა; . ქ. მცხეთის მაყვალა მრევლიშვილის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა; ქ. მცხეთის ლადო ასათიანის სახელობის ახალგაზრდული ბიბლიოთეკა; ერედის ნოდარ დუმბაძის სახელობის ბიბლიოთეკა; ნატახტრის ვაჟა-ფშაველას სახელობის ბიბლიოთეკა; მუხრანის ვახუშტი ბატონიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა; მისაქციელის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ბიბლიოთეკა; საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკა; ქსოვრისის აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა; ქსნის ზვიად გამსახურდიას სახელობის ბიბლიოთეკა; ნავაზის ოთარ ჭილაძის სახელობის ბიბლიოთეკა; ძალისის ბიბლიოთეკა; ძეგვის შიომღვიმელის სახელობის ბიბლიოთეკა). მცხეთის მუნიციპალიტეტი თანადაფინანსებით უზრუნველყოფს ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმს.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2013 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები განისაზღვრა 835 ათასი ლარით, 2020 წლის შესაბამისმა მაჩვენებელმა კი 1 მლნ 222.5 ათასი ლარი შეადგინა.

2014-2021 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.

2015-2021 წლებში სამინისტროს ხელშეწყობით, მუნიციპლიტეტის დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში, სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით, ხორციელდება პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს მცხეთის მუნიციპალიტეტის **წეროვანისა და წილკანის დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში,** დევნილი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის სახელოვნებო წრეების ფუნქციონირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო-სახელოვნებო აქტივობების განხორციელებას.

მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში არსებული **ბიბლიოთეკების ელექტრონული აღრიცხვა** ელექტრონული ბიბლიოთეკის ჩამოყალიბება-ხელმისაწვდომობისა და არსებული წიგნადი ფონდის განახლება-შევსების პროცესი.

მცხეთის კულტურის ცენტრის ბავშვთა თეატრალური დასი, ცენტრის ხალხურ საკრავთა ანსამბლი, ქორეოგრაფიული ანსამბლი „როკვა“, ვაჟთა ანსამბლი „მცხეთა“, ნატახტარის ფოლკლორული ანსამბლი „სიმები“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „მთიელი“, ერედის ფოლკლორული ანსამგლი „ყაყაჩო“, ქსნის ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი , ქსნის ბავშვთა შოუ-თეატრი, მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის სახლების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა დონის კულტურულ ღონისძიებებსა და კონკურსებში.

2013-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის რეგიონული ფონდის დაფინანსებით, მცხეთაში აშენდა კულტურის სახლი (3 მლნ 546,4 ათასი ლარი), ჩატარდა საგურამოს ახალგაზრდული ცენტრისა და თავშეყრის ადგილის სარემონტო სამუშაოები, წეროვანში (იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლება) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მშენებლობა; სოფელ წიწამურში მდებარე ილია ჭავჭავაძის ძეგლის კვარცხლბეკის, მისასვლელი კიბეების რეკონსტრუქციისა და მიმდებარე ტერიტორიის საშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (542,7 ათასი ლარი); ილია ჭავჭავაძის ძეგლის მიმდებარე ბაქნის, ასასვლელი კიბისა და საყრდენი კედლის სადემონტაჟო სამუშაოები (14,4 ათასი ლარი).

2015 წელი – მცხეთაში კულტურის სახლის მშენებლობის მეორე ეტაპი, სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის“ რემონტი, წეროვანში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მშენებლობის მეორე ეტაპი, მუხრანში სოფლის სახლის მშენებლობა ახალგაზრდობისთვის, ნატახტარში კულტურის სახლის გადახურვა, ახალუბანში ახალგაზრდული სახლის მშენებლობის გაგრძელება;

2016 წელი – მცხეთაში კულტურის სახლის მშენებლობის გაგრძელება**;** სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის“ გარეგანათება და ეზოს კეთილმოწყობა, ახალუბანში ახალგაზრდული სახლის მშენებლობის მეორე ეტაპი (სულ 3 მლნ 933,9 ათასი ლარი).

2017 წელს – დასრულდა მცხეთის კულტურის ცენტრის მშენებლობა (803,3 ათასი ლარი). ახალ ცენტრში ფუნქციონირებს 386-ადგილიანი საკონცერტო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია უმაღლესი სტანდარტების ვიდეო, აუდიო, გახმოვანებისა და განათების სისტემებით. შენობაში განთავსებულია სარეპეტიციო დარბაზები, ხმის ჩამწერი სტუდია, საოპერატორო, სარეჟისორო, საკონფერენციო, ხატვისა და გამოყენებითი ხელოვნების ოთახები. **2017-2019 წლებში –** რეგიონული ფონდის დაფინანსებით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუხრანისა (340, 1 ათასი ლარი) და ნატახტრის (159, 1 ათასი ლარი) კულტურის სახლებს. ასევე რეგიონულმა ფონდმა დააფინანსა: მცხეთის ძველი კინოთეატრის არქეოლოგიურ მუზეუმად რეკონსტრუქციის (ადაპტაციის) პროექტი (4,4 მლნ ლარი); სვეტიხცოვლის სამონასტრო კომპლექსის დასავლეთი კარიბჭის ქვის კონსერვაციისა და რეაბილიტაციის პროექტი; ქ. მცხეთა, სამთავროს არქეოლოგიური ველის ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი I ეტაპი; მომზადდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნიჩბისში მდებარე ციციშვილების ციხე-დარბაზის არქიტექტურული კომპლექსის რეაბილიტაცია-ადაპტაციისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია; **მიმდინარეობს** სოფელ ციხისძირის კულტურის სახლის რეაბილიტაცია (464,5 ათასი ლარი);

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტში შემდეგი პროექტები განხორციელდა: ბაგინეთის არქეოლოგიური სამუშაოები; სვეტიცხოვლის საკონსერვაციო მდგომარეობის წინასწარი კვლევა, ვიდეოენდოსკოპირება; ბზიანას ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის კონსერვაცია და დროებითი გადახურვის სამუშაოები, ტერიტორიის საკადასტრო რუკის შედგენა; ბებრისციხის რეაბილიტაცია; არმაზციხე-ბაგინეთი-ალიზის კედლის დროებითი გადახურვის სამუშაოები; „მცხეთის კარიბჭის“ (მცხეთის კინოთეატრის შენობა) ტოპოგრაფიული და არქიტექტურული ანაზომების შესრულება, ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა-შეფასება; არმაზის ციხის (ბაგინეთი) არქეოლოგიური სამუშაოები; მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებისა და მათი გარემოს კვლევა; პიტიახშთა არმაზისხევის რეზიდენციაში აბანო – რეზიდენციის მოწესრიგებისა და აბანოს საკონსერვაციო სამუშაოები; არმაზისხევის კომპლექსში – არქეოლოგიური შესწავლა; დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში – სამუზეუმო შენობის პროექტირება: სამუზეუმო შენობისთვის ადაპტაცია-განვითარების პროექტის მომზადება და სხვ. სულ, ამ პროექტებზე, 2013-2016 წლებში, 1 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა.

გარდა ამისა, განათდა კალოუბნის, წმ. დემეტრეს, წმ. ნინოს, ღვთისმშობლის, წმ. გიორგის სახელობის მონასტრები და ბებრისციხე. რეაბილიტაცია ჩაუტარდა წმ. დემეტრეს, წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის სახელობის მონასტრებთან მისასვლელ გზებს; მომზადდა მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის სამშენებლო მასალის მდგომარეობის კვლევა და საპროექტო დოკუმენტაცია; სოფ. კევლიანი, ბნელა საყდრის ეკლესიის პროექტი; განხორციელდა ბებრისციხის აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოები (IV ეტაპი); სამთავროს არქეოლოგიური ველის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები („საბავშვო არქეოლოგია“); სოფელ ძალისის ტერიტორიის, ნავდარაანთკარის, ღართისკარის არქეოლოგია; სოფელ ჩარდახის ტერიტორიაზე მდებარე დიდგორის დიდგორას ნამოსახლარის არქეოლოგია.

2020 წელი: მომზადდა დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში შემავალი არმაზციხის (ბაგინეთის) კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია; ძეგლზე ეტაპობრივად ყოველწლიურად მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიმდინარე სამუშაოები პანდემიის გამო შეჩერებულია. ქ. მცხეთაში სამთავროს ველისა და მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური გათხრები; 2020 წელს დასრულდა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ქვის საკონსერვაციო სამუშაოები (პირველი ეტაპი) – 110 ათასი ლარი;

2021 წელს – მიმდინარეობს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ქვის საკონსერვაციო სამუშაოების II ეტაპი – 22,5 ათასი ლარი; ძეგლთა დაცვის საგენტოში განხილვის პროცესშია მამულაშვილის სახლისა და ბაღის რეაბილიტაციის პროექტი;

მცხეთის მუნიციპალიტეტზე გადის ევროპის საბჭოს **„ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი“** და სამინისტროს სერტიფიცირებული მარშრუტი **„ალ. დიუმას კვალდაკვალ“,** რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში კულტურული ტურიზმის განვითარებას.

41 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ – ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მსხალდიდში ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედანი

მცხეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სსიპ **საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი,** რომელსაც წლის განმავლობაში, ათასობით ვიზიტორი სტუმრობს. ასევე წლის მანძილზე რამდენიმე ათასი ვიზიტორი სტუმრობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ დიდი **მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალს.** საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს **მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმი** 2020 წლიდან ახალ შენობაში განთავსდება, (პროექტი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით და მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხორციელდება, ღირებულება 8,5 მლნ ლარს აჭარბებს). მუზეუმის პროექტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და მუნიციპალური განვითარების ფონდის ერთობლივი მუშაობით, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, მიმდინარე რეგიონული განვითარების მესამე პროგრამის ფარგლებში მომზადდა. შემუშავდა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მეთოდოლოგიური მითითებებით, რომელშიც მუზეუმოგრაფიის ყველა თანამედროვე სტანდარტია დაცული. **2020 წელს** მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის მშენებლობა **დასრულდა.** ამჟამად **მიმდინარეობს** მუზეოგრაფიის სამუშაოები.

2017-2020 წლებში კულტურული მემკვიდრეობის სფეროს განვითარების/რეფორმის მიმართულებით განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის: მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე და კონვენციის სახელმძღვანელო პრინციპებით გაწერილი რეგულაციების შესაბამისად, მომზადდა მცხეთის ისტორიული ძეგლების საკონსერვაციო გეგმის საჭიროებების კვლევა და 2017 წლის 30 იანვარს წარედგინა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე, მომზადდა და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს წარედგინა: მცხეთის ისტორიულ ძეგლებზე საკონსერვაციო მდგომარეობის შესახებ ანგარიში; საზღვრების მოდიფიკაციის დოკუმენტი შესაბამის ფორმატში კონსერვაციის გეგმის საჭიროებების ნუსხა და სარჩევი, მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების დამცავის ზონების პროექტი.

სპორტი

მცხეთაში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“; ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოსა და ნიჩბოსნობის აკადემია“; ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“; ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“; ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წლის ბიუჯეტით სპორტის ხარჯები 2 მლნ 716.8 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელი კი 90 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტში სპორტის შემდეგი სახეობებია: ქართული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, კარატე, სამბო, ფეხბურთი, კალათბურთი, ველოსპორტი, ტაეკვონდო, ჭადრაკი, ფრენბურთი და ნიჩბოსნობა, კრივი. აქედან პრიორიტეტულია შემდეგი სახეობები: ჭიდაობა (ქართული, თავისუფალი, ძიუდო), ნიჩბოსნობა, ფეხბურთი და ველოსპორტი.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: მცხეთაში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა (5 მლნ 195,5 ათასი ლარი); ძალისში მინი სტადიონის განათება (1 ათასი ლარი); მცხეთაში საჭიდაო დარბაზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (25,8 ათასი ლარი); – არმაზში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები (61, 5 ათასი ლარი); მცხეთაში (სადგურის უბანში) სტადიონის სამშენებლო სამუშაოები (87,3 ათასი ლარი); ძველ ქანდაში მინი ფეხბურთის სტადიონის მოწყობა (20,9 ათასი ლარი); წეროვანში მინი სტადიონის მოწყობა (16 ათასი ლარი); მცხეთის კომპლექსური სასპორტო სკოლისთვის ტრენაჟორების შეძენა (4,9 ათასი ლარი); წეროვნის მინი სტადიონის მოწყობა (42 ათასი ლარი); პატარა ქანდის სტადიონის შემოღობვა (27 ათასი ლარი); მუხრანში მინი სტადიონის მშენებლობა (56,6 ათასი ლარი); ციხისძირში სტადიონის შემოღობვა და კეთილმოწყობა (14,5 ათასი ლარი); ძველ ქანდაში მინი სტადიონის მშენებლობის დასრულება (23,8 ათასი ლარი); საგურამოში მინი სტადიონის მოწყობა (24,1 ათასი ლარი). **2017-2018 წელს** – დასრულდა მინი სპორტული მოედნების მშენებლობა სოფლებში: წეროვანი, ძეგვი, ქსანი, ვაზიანი, მუხრანი; მინისტადიონები მოეწყო სოფლებში: ნავაზში, მუხათგვერდში, ძალისში, მისაქციელსა და წილკანში (231 984 ლარი);

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, 2018 წელს – დასრულდა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა მცხეთაში (5 მლნ 195,5 ათასი ლარი); მცხეთაში კეთილმოეწყო სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ტერიტორია (250 ათასი ლარი); მუხათგვერდსა (49, 1 ათასი ლარი) და ნავაზში მოეწყო მინი სტადიონები (55 ათასი ლარი); მცხეთაში განხორციელდა ნიჩბოსნობის ბაზის რეაბილიტაცია (202 474 ლარი); **2019 წელს –** დასრულდა მცხეთაში, ღართიკარის დასახლებაში მინისტადიონის მოწყობა (118, 3 ათასი ლარი), ციხისძირში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (119,4 ათასი ლარი); მცხეთაში, არმაზის დასახლებაში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (9, 2 ათასი ლარი); მცხეთის №1 საჯარო სკოლის მიმდებარედ, სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (102, 4 ათასი ლარი); მუხრანში, სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (56,9 ათასი ლარი); ნავდარაანთკარში მინისპორტული მოედნის მოწყობა (122,9 ათასი ლარი); საგურამოში, მინისპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა (830 ათასი ლარი); **2020 წელს** – განხორციელდა მინისტადიონების მოწყობისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფლებში: ნატახტარი, გალავანი, ლისი, ჩარდახი, ქსანი, ახალუბანი, ციხისძირი (970 846 ლარი); მისაქციელში მიმდინარეობს სპორტული დარბაზი რეაბილიტაცია (689,8 ათასი ლარი).

ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდული მიმართულებებით სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა, მათ შორის: რაგბის უფასო გაკვეთილები წეროვანის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (120 მონაწილე); არქეოლოგიური ექსპედიცია ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობით (50 მონაწილე).

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა შემდეგი პროექტები განახორციელეს, მათ შორის: წეროვნის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ხის მხატვრული დამუშავების სახელოსნოს აშენება და მისი იარაღდანადგარებითა და მასალით აღჭურვა. ა(ა)იპ „უკეთესი მომავლისათვის“ ახორციელებს პროექტს „წეროვნის დევნილი ახალგაზრდების პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა“ (19,9 ათასი ლარი).

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ პროგრამების („CYNC კვირეული ქსელი“, „CYNC ლაშქრობა“, CYNC კვირეული“) განხორციელებამ ხელი შეუწყო ახალგარდული პოლიტიკის დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანილი ერთიანი, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ქსელის შექმნას, ბავშვებში სკოლის ასაკიდანვე ლაშქრობის პოპულარიზაციასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას. **მცხეთის მუნიციპალიტეტის ჩართულობით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:** მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები; მოხალისეობის განვითარების პროგრამა (რეგიონის მასშტაბით, 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); ამასთან, 2021 წლის 31 მაისს პროექტში „ქართული კულტურის დღეები მესტია 2021“, მცხეთის მუნიციპალიტეტიდან რვა ახალგაზრდა მონაწილეობდა (2 976 ლარი).

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მცხეთის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ბიბლიოთეკების ელ. აღრიცხვა – ელ. ბიბლიოთეკის ჩამოყალიბება-ხელმისაწვდომობა, არსებული წიგნადი ფონდის განახლება-შევსება.
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში განხორციელდება პროექტები: ძალისის, ნიჩბისისა და აგურსაყდრის არქეოლოგია; ბაგინეთის კონსერვაცია; მცირეჯვრის ტაძრის ქვის კონსერვაცია (II ეტაპი); არმაზისხევი – პიტიახშთა რეზიდენციის არქეოლოგია და მოწესრიგება/კონსერვაცია; საბავშვო არქეოლოგია; მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებზე სააღრიცხვო დოკუმენტაციის განახლება და ერთიან მონაცემთა ბაზაში შეტანა; UNESCO-ს მიერ მოთხოვნილი ღონისძიებების განხორციელება საქართველოში არსებული მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობის განსახორციელებლად; ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი";
- გაგრძელდება დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში სახელოვნებო წრეების ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- გაგრძელდება მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებზე კონსერვაციის გეგმების (მათ შორის – პრევენციული კონსერვაციისა და რისკის მართვის) მომზადება; მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების საკონსერვაციო მდგომარეობის გაუმჯობესება; სვეტიცხოვლის სტრუქტურული გამაგრება და საშენი მასალის კონერვაცია;
- გაგრძელდება მცხეთის ისტორიული ზონის (სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორია) რეაბილიტაცია (5 მლნ ლარი, 2018-2021 წ.წ.);
- განხორციელდება მცხეთაში, ბებრისციხის მიმდებარე ტერიტორიაზე ამფითეატრის რეკონსტრუქცია (1 მლნ ლარი); სვეტიცხოვლის რეაბილიტაცია; ბებრისციხი სრეაბილიტაცია; ბაგინეთის არქეოლოგიური კომპლექსის რეაბილიტაცია; აგურსაყდარის ეკლესიის რეაბილიტაცია;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია, მათ შორის წეროვანში, ძეგვში, ქსანსა და ვაზიანში განხორციელდება მინისტადიონების მოწყობა (სულ 240 ათასი ლარი);
- **2020-2021 წლებში დაგეგმილია:** მინი საფეხბურთო და საკალათბურთო მოედნების მშენებლობის 9 პროექტი ქ. მცხეთასა და სოფლებში: ჩარდახი, ახალუბანი, ლისი, ციხისძირი, არაშენდა, გალავანი,მსხალდიდი, ერედა (720 ათასი ლარი).

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გადაწყვეტილებით, პატივი მაქვს, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი ვიყო და ეს ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა. ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენი პოლიტიკური გუნდის ძალისხმევით, მცხეთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა უპრეცედენტოდ მსხვილი და მასშტაბური პროექტები, რომლებსაც შეიძლება, ისტორიულიც კი ვუწოდოთ. თუმცა, მიუხედავად ამისა, პრობლემა ბევრია და მათ მოგვარება სჭირდება. შეუძლებელია, ვისაუბროთ ქალაქ მცხეთის განვითარებაზე მაშინ, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი ტკივილია ქალაქის განვითარების გეგმა. ქალაქი ვერ ახერხებს წინსვლას, რაც თითოეული ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახება. ჩემი საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი საკითხი სწორედ ეს არის – უმოკლეს ვადებში მოგვარდეს ეს პრობლემა და მცხეთას მიეცეს განვითარების საშუალება. რაც შეეხება მცხეთის სოფლებს, თითქმის არ არსებობს დასახლება, რომელსაც მუნიციპალური განვითარება არ შეხებია, თუმცა გასაკეთებელი აქაც ბევრია. მერწმუნეთ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ჩვენს მიმართ გამოცხადებული მხარდაჭერა თქვენს ოჯახებს, სოფლებსა და ქალაქს მოუტანს კეთილდღეობას!

მცხეთის მუნიციპალიტეტში დავიბადე და გავიზარდე, თქვენს გვერდით, უბრალო და მშრომელი ხალხის ოჯახში. ვიცნობ ქალაქისა და თითოეული სოფლის მოსახლეობას, ვიცი თქვენი პრობლემებიცა და სურვილებიც, ტკივილიცა და სიხარულიც. ჩემი ცხოვრების კრედო უცვლელია: პროფესიონალიზმი, სამართლიანობა, გუნდურობა, ოჯახის პატივისცემა და ღირსება. ამ პრინციპებს დღეს კიდევ ერთს დავამატებ – განსაკუთრებულ მზრუნველობას თქვენ მიმართ და გპირდებით, რომ ჩემი არჩევის შემთხვევაში, თითოეული თქვენგანის ოჯახზე არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით მზრუნველი მერი ვიქნები. პოლიტიკა ურთიერთობების ხელოვნებაა და ორმხრივ თანამშრომლობას ეფუძნება. ვერც პოლიტიკური ლიდერი და ვერც ხალხი ცალ-ცალკე საქმეს ვერ გააკეთებს. ერთად ყველაფერს შევძლებთ და ყველა პრობლემას დავძლევთ, თუკი მცხეთის მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის გავერთიანდებით! ერთობა – ეს არის ჩემი მთავარი გზავნილი თქვენდამი!

თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს, ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.